საქართველოს მთავრობის განკარგულება „წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“

27 თებერვალი 2019 წ. საქართველოს მთავრობის #16 განკარგულების 18.01.2019 წლის „წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს #01-6/ნ ბრძანების 21.01.2019 წლის „სავალდებულო პროფილაქტიკური იმუნიზაციის დაქვემდებარებულ საქმიანობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მიხედვით ქალაქ თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდ.ზედამხედველობის და კონტროლის სამსახური მოითხოვს ინფორმაციას იმ სტუდენტებისა და თანამშრომლების შესახებ (19 წელი და ზემოთ ასაკის), რომლებიც არ არიან აცრილები წითელა-წითურა-ყბაყურაზე ან უარს აცხადებენ აცრებზე.
ამ ღონისძიების განსახორციელებლად გთხოვთ, დაავალოთ ფაკულტეტების ხელმძღვანელობას და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს, რათა წარმოადგინონ სტუდენტებმა და თანამშრომლებმა (19 წელი და ზემოთ ასაკის) წითელა-წითურა-ყბაყურის აცრის განსაზღვრა - ფორმა 100/ა „ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ“ მიხედვით (ფორმის გაცემა უფასოა).
ინფორმაციის მიწოდებიდან, არა უგვიანეს 1 თვის ვადაში, ბენეფიციარების მხრიდან აცრის დამადასტურებელი ცნობის წარმოუდგენლობის შემთხვევა განიხილება როგორც უპასუხისმგებლო მოქმედება.
ცნობები აცრის დადასტურების შესახებ ბენეფიციარებმა წარმოადგინონ ფაკულტეტების ხელმძღვანელობასთან (სტუდენტებმა) და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში (თანამშრომლებმა), რის შემდეგაც მოხდეს წარმოდგენილი ცნობების გადაცემა სტუ-ს პოლიკნინიკაში.
აუცრელმა ბენეფიციარებმა აცრის ჩატარების მიზნით, დაუყონებლივ მიაკითხონ უბნის პოლიკლინიკის, ოჯახის ექიმებს და წარმოადგინონ ჩატარებული აცრების ცნობები.
იმედი გვაქვს თქვენი მხარდაჭერის, რათა ხელი შევუშალოთ წითელას გავრცელების ეპიდემიას.